№ 134 ივნისი 26, სამშაბათი 1890 ივნისი 26, სამშაბათი № 134

ივერია

გაზეთი ღირს

თთვე	მან.	კ.	თთვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

Отъ конторы редакціи

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

მისაღები და განმეორებითი გამოცდა ყმაწვილებისა ტფილისის სახელოსნო სკოლაში იქმნება 25, 27 და 28 მარიამობისთვეს. ახლად მისაღებმა ყმაწვილებმა უნდა იცოდნენ უმთავრესი ლოცვები, ამბები და მოთხრობები საღმთო წერილიდგან; შეეძლოთ თავისუფლად წერა-კითხვა რუსულად და ქართულად; არითმეტიკიდგან უნდა იცოდნენ ოთხი მოქმედება. თხოვნა უნდა იყოს დაწერილი სკოლის ზედამხედველის (директоръ) სახელზედ. თხოვნასთან ერთად უნდა იყოს მეტრიკული მოწმობა (მღვდლის მიერ მიცემული მოწმობა არ მიიღება), მოწმობა ყვავილის აცრისა და ექიმის მოწმობა სკოლაში მისაღებ ყმაწვილის ჯანმრთელობისა. (2—2)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას მოუვიდა გასასყიდად

კრებული

ცდა

წიგნი II

ფასი 50 კაპ.

(4—3)

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი

ისტორიული

პოემა

«კიკოლას ნაამბობი»

აკაკისა.

ფასი 20 კაპ. (6—6)

ახალი ამბავი

* * დღეს, ამ თთვის 26, ტფილისში მოელიან ტფილისის გუბერნატორის თავ. გ. დ. შერვაშიძის ჩამოსვლას სოფ. ბეთანიიდგან, სადაც ამ ჟამად იგი იმყოფება.

* * ტფილისის ქალაქის მეორე სესხის ობლიგაციები ამ თთვის გასულს არის გამოსასვლელი ტირაჟში, სულ 10200 მანათისა.

* * კვირას, საღამოს ცხრა საათის ნახევარზე, მიხაილოვის ქუჩაზედ, ქვემოდგან მიმავალმა კონკამ კინაღამ გაიტანა ერთი ვიღაც ძალზედ ნასვამი დედაკაცი, ტომით რუსი. კონდუქტორმა საჩქაროდ შეასწრო თვალი და შეაჩერა კონკა, თორემ ხალხით სავსე ვაგონი მთლად დაამტვრევდა საბრალო ადამიანს. დაეცა შემდეგ შუაგულ ქუჩაში და აღარა დგებოდა. ქუჩის ბიჭები ხან აქეთა სწევდნენ იმის შალის ყურებს და ხან იქით, მაგრამ არც არავინ პატრონი გამოუჩნდა და არც სად პოლიციელი სჩანდა, რომ იმას მაინც ეგდო ყური. ეს ერთი გადარჩა გატანას ამ საღამოთი, მაგრამ მეორეს-კი აღარ ასცდა. ცხრა საათის ნახევარზედ, ცოტა ადრე, სწორედ ამავე ქუჩაზედ ერთ ნაპირიდამ მეორე ნაპირზედ გადამავალმა ვიღაც პატარა ბიჭმა ერთ ფაიტონს როგორც იყო ააცდინა თავი, მაგრამ მეორე იქავე შეეჩეხა, ჰკრა ცხენმა წიხლი და გადააგდო კონკის რელსებზე. გამოქანებული ვაგონი ვეღარ შეაჩერეს და საბრალო ბავშვს ზედ გადაუარა. მოისმა საზარელი და გულის აღმაშფოთებელი კვნესა ბავშვისა, გადმოვიდა ხალხი კონკიდამ და შემოეხვია გარშემო ბავშვს საშველად. ფაიტონი და კონკა, რომელნიც იყვნენ ამ უბედურების მიზეზად, იქვე შეაჩერეს. ბავშვი სამკურნალოში წაიყვანეს.

* * არა ერთხელ გვქონია ჩვენს გაზეთში ნათქვამი, რომ დიდი უწესოება ჰსუფევს „შვეიცარიად“ წოდებულს ბაღში. ვიღაც ვენგრიელ ქალებს მოუყრიათ თავი და ხალხს სძარცვავენ, ქაღალდის თამაშობაა იქვე ფულზედ და სხვ. ამ ბაღში ამას წინად კიდევ დიდი ჩხუბი და აყალმაყალი დატრიალდა. ამის გამო ბ-ნმა პოლიცმეისტერმა აღუკრძალა ამ ბაღის პატრონებს ქალების შენახვა, მუსიკის დაკვრა და სხვ. გასართობის გამართვა. ამ სასტუმროს ვაჭრობის ნებაც მხოლოდ თორმეტ საათამდე აქვს, შემდეგ-კი უნდა დაჰკეტონ ხოლმე.

* * გუშინწინდელ ნომერში ჩვენ შეცდომით გვქონდა მოხსენებული, რომ, ვინც საქალაქო გადასახადს ამ თთვის გასვლამდე არ შეიტანს, ვერ მოჰყვება ამომრჩეველთა სიაში. ნამდვილად-კი ვადა ამ გადასახადის შეტანისა ივლისის მიწურულებია და ვინც ივლისის გასვლამდე არ შეიტანს, თუ რამ შესატანია იმაზე დარჩენილი, არ მოჰყვება ამომრჩეველთა სიაში და მაშასადამე დაჰკარგავს უფლებას აირჩიოს ხმოსნები ჩვენის ქალაქის საბჭოსი.

* * ბაქოდგან დეპეშით გვაუწყებენ, რომ ორშაბათს უკანასკნელი წარმოდგენაა საოპერო და საოპერეტო დასისა, რომელშიაც მონაწილეობას იღებს ქ-ნ ბელსკისა და როდონი. ეს დასი შაბათს, ამ თთვის 30, გამოემგზავრება ტფილისს და პირველ წარმოდგენას კვირას გამართავსო.

* * ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ბარონის ქუჩაზე სარაჯოვის სახლის (№ 20) ეზო ერთობ ბინძურად არის შენახული. საჭიროების ალაგები სულ არ იწმინდება. ეზოდგან მტვერი და ნაგავი არ გააქვთ, ნარეცხს წყალს პირდაპირ ეზოშივე აქცევენ და ეს ამოდენა თავ მოყრილი უწმინდურება იხრწნება, ლპება და აუტანელს სუნს აყენებს. თუ სადმე ხოლერაა გასაჩენი, პირველად სწორედ აქ უნდა გაჩნდესო.

* * ტფილისის სამოსამართლო პალატამ მოისმინა საქმე მაზრის უფროსის თანაშემწეს კოლლეჟსკი ასესორის კარაპეტ ისაკის ძის ტერ-სააკოვისა, რომელსაც თანამდებობის აუსრულებლობა ბრალდებოდა. სასამართლოში დამტკიცდა, ტერ სააკოვს მუქარით გლეხებისთვის ქრთამი ერთმევინა, და გადაუწყვიტა, აეხადოს ყოველივე ქონებრივი უფლება და გაგზავნილ იქმნას ციმბირის შორეულ ადგილებში საცხოვრებლადაო.

* * აფხაზეთი: ქურდობა, ღვთის მადლით, შემცირდა. სიმინდი და „ადესა“ მშვენიერს მოსავალს გვპირდება წელს. უბედურება ეს არის, რომ გასულის წლის სიმინდი რიგიან ფასად ვერ გაიყიდა.

* * იქიდამვე: ჩვენამდინაც მოაღწია ხმამ, რომ უმაღლესის მთავრობის გადაწყვეტილებით, სოხუმის ოლქის ქრისტიან-აფხაზებმა ჯარში გასვლის მაგიერ ფულით უნდა გარდაიხადონ სამხედრო ბეგარაო. მხოლოდ აქ სიტყვამ „ქრისტიანი-აფხაზები“-ო არა მცირე გაუგებრობა და არეულ-დარევა გამოიწვია, როგორც აქაურს საზოგადოებაში, ისე თვით აქაურს ადმინისტრაციაშიაც. სოხუმის ოლქის ერთი ნაწილი სამურზაყანოს ნაწილია, რომელიც დასახლებულია სამურზაყანოელებით. გაუგებარი დარჩა სამურზაყანოელები „ქრისტიან-აფხაზებად“ არიან ჩათვლილნი თუ მეგრელებად. ნამდვილად-კი, მოგეხსენებათ, სამურზაყანოელები იგივე მეგრელები, და მაშასადამე, ქართველები არიან. აბჟუას მოსაზღვრე სამურზაყანოს სოფლებში მხოლოდ ძლივს ამტვრევენ აფხაზურსა, საზოგადოდ ყველგან მთელს სამურზაყანოში-კი მეგრულად ლაპარაკობენ და არიან ისეთივე ქრისტიანები, როგორც მათი თანამოძმე მეგრელები. ამ ჭეშმარიტს აზრს ადგია ამ საგნის შესახებ და ეს ასე მოახსენა კიდეც, სადაც ჯერ არს, თუ არა ვცდებით, თვით ჩვენმა ადგილობრივმა ადმინისტრაციამაც. მხოლოდ საკვირველი ეს არის, რომ, როცა საქმე სწავლა-განათლებას შეეხებოდა სამურზაყანოში, რომ ვთქვათ სამურზაყანოელები იგივე მეგრელი-ქართველები არიან და, მაშასადამე, პირველ დაწყებითი სწავლა იმ გვარადვე უნდა სწარმოებდეს (ვსთქვათ სამრევლო სკოლებში ქართულად საღმრთო სჯულის სწავლების შესახებ), როგორც სხვაგან საქართველოში, ზოგიერთები მოგახსენებდნენ: სამურზაყანოელები აფხაზები არიან და სწავლა განათლება სამურზაყანოში იმავე წესსა და რიგს უნდა ექვემდებარეობდეს, როგორსაც აფხაზეთში. ეხლა-კი, როცა სამხედრო სამსახურის ფულით გარდახდაზე მიდგა

ფელეტონი

ელეგია

დღე არ მასვენებს საგონი,
ღამ-ღამე საოცარია:
ვაჰმე, თუ ტურა მგლებს დარჩეს.
ხოხობის საბუდარია!

იმისი მშვენიერობა
ვაჰ თუ არ შეიბრალონო;
გასრისონ იმის სიტურფე,
უდროოდ მაინელონო!

ველარ დაზარდოს ბარტყები
ლიჭიან ბარდებშიაო;
აზატად ველარ იაროს
ალაზნის ქალებშიაო?

მე-კი ნუ ვიყო ცოცხალი,
სჯობს მკვდრებში ვირიცხებოდე.
მიწამ შამჭამოს, სანამდის
მე ამას შავესწრებოდე.

მზემ ნუღარ მოგვცეს სინათლე.
და წვიმა წყალმა ზღვისამა;
გვირგვინი ჩამაიყაროს
დიდმა ვარსკვლავმა ცისამა!

1887 წ. ბაჩანა

◆◆

მეფე ერეკლე

ერეკლეს ლაშქრობა და ომები.

(შემდეგი*)

ამავე წელსა ნადირშაჰ ყარსიდამ გამობრუნდა. ჰსცნა მეფე თეიმურაზმა და წინ მიეგება აზოს (რომელ არს ყაიყული). იქიდამ მობრუნდა ბორჩალოს, დებედის პირზედ გოგოთაფას დადგა და რაოდენსამე დღესა იქ იდგა. ხოლო აქ მობრძანდა დედოფალიცა თამარ და კახეთით ირაკლი, რომელთაცა დიდათ პატივსცა და უმეტესის პატივით მიიღო. ამ ჟამსა მეფე თეიმურაზ, მეფე ირაკლი და დედოფალი თამარ დასთხოვეს ერისთავი შანშე, ძმისწულნი და სახლეულნი მისნი და მოანიჭა: ვითარცა მიუწერა წიგნი ხორასანს ხანთან განთავისუფლებისა მათისა და გამოტევებისა. ნადირშაცა გაბრუნდა, ყაზახზე და განჯაზედ ჩაიარა, მუღამს ჩაბრძანდა. იქ რამდენსამე ხანს დადგა.

მოვიდა შანშეცა ხორასნიდამ სახლეულით თვისით, ხოლო მეფემან თეიმურაზ და მეფემან ირაკლი ოსმალთაგან წართმეული მამული თვისი მიუბოძეს და ერისთობაცა ქსნისა შანშეს (მისცეს).

შემდგომ წელსა 1745 გივმან ამილახორმან სურამის ციხე გაამაგრა ძალითა ოსმალთა მიერ, შევიდა და დადგა მუნ. მივიდნენ მეფე თეიმურაზ და მეფე ირაკლი ბრძანებითა ნადირშაჰსათა და ერთი ხანიცა (პაპუნას თქმით მირდან-ხან) ყიზილბაშისა ჯარით. რომელსა შემოადგნენ და რამდენსამე თთვეს უკან გამოიყვანეს ციხიდამ დაჭერილი და ნადირშაჰსთან გაგზავნეს. [1])

წელსა 1747 ნადირშაჰ განრისხნა ყოველსა სამფლობელოსა თვისსა ზედა და საქართველოსაცა არბაბი (ხარაკი) შემოაწერა, ვითარცა სხვა ქვეყნებსა. ხოლო ამავე წელსა მოკლეს ნადირშაჰ ყიზილბაშთა და ძმის-წული მისი ადილშაჰ გაახელმწიფეს [2]).

ამან ადილშაჰ მიუწოდა მეფესა თეიმურაზს და მეფემან თეიმურაზ ქართლი მიაბარა ძესა თვისსა ირაკლი მეფესა, გარნა დაჰვედრა საქმისა კითხვა იესე მეფის ძისა აბდულა-ბეგისაცა. არამედ აბდულაბეგმან გარდაიბირნა რაოდენნიმე ქართველნი სომხით საბარათიანოდამ და სხვანიცა და უკუდგა ირაკლი მეფესა. მოიყვანა ყიზილბაშის ხანი სამ იხტიარი ჯარით. ამას მოჰყვნენ განჯა-ყარაბაღის ხანე-

---

*) იხ. „ივერია“ № 132 და 133.

[1]) გივი ამილახორის დატყვევებას იხსენიებს ბუტკოვიცა და პაპუნაც. ბუტკოვი ამბობს, რომ შეპყრობილს და სპარსეთში წარგზავნილ გივს წინ შემოხვდა ტყვეობიდგან დაბრუნებული შანშე ქსნის ერისთავიო, ხოლო პაპუნა-კი გივთან ბრძოლას და მის შეპყრობას დაწვრილებით აღწერს. თეიმურაზი შემოერტყა სურამს. გივიმ შემოუტია, ვერ შემოება და ისევ ციხეში შთაიკეტაო. თეიმურაზმა იქვე სანგარი შეჰკრაო და სათფრებში ჯარი ჩააყენაო. მეფე გივს უგზავნიდა კაცსა და ეპატიჟებოდა გამოსვლასა ციხიდამ. მაგრამ ვერ დაიმორჩილეს. გივს ციხე კარგა გამაგრებული ჰქონდა, სანოვაგე მრავალი და ჯაბახანა ფრიადი. იყო დღე-ღამ სროლა ზარბაზანთა და უზბართა. კომლისიგან ციხე არა ჩნდა. აგრევ ციხიდამაც ესროდნენ ზარბაზანთა. გივი შესწუხდა ფრიად. მეფეს შემოუთვალა: „სარდალი ქაიხოსრო მოვიდეს და იმას მივენდობი და გამოვალო“. ქაიხოსრო ციხეში შევიდა. პირობა შეიკრა ესეთი: გივს დანაშაული ეპატიოსო. აცნობეს ყეენს. იმანაც შენდობა შემოუთვალა. მაგრამ გივმა არ ირწმუნა. ყეენის დაწერილი წყალობის ქაღალდი მომიტანეთო. მოუტანეს. ისევ გივმა სიტყვა გადათქვა. შემოუთვალა თეიმურაზს: მარტო დედოფალ თამარს მივენდობიო. მობრძანდა თამარიც. გივი გამოვიდა ციხიდამ. თეიმურაზმა ციხე დაიჭირა. გივი სპარსეთს წარგზავნა. შემდეგ ყეენის ბრძანებისამებრ სურამისა და კეხვის ციხენი ამირინდო ამილახორიშვილს მეფეებმა დააქცევინეს (ქართ. ცხ. გვ. 377—379).

[2]) ბუტკოვი: ნადირშაჰ ამ დროს ფრიად ვერცხლ-მოყვარე შეიქმნა. ამიტომაც თავის ქვეშევრდომებს არბაბი შეაწერაო. გარდა ამისა თეიმურაზზედაც გაბრაზებული იყოვო, რადგან თეიმურაზს რომ ცოლი მოუკვდა, არ იგლოვაო, არამედ ორმოცის გასვლამდის მეორე ცოლი მოიყვანაო. ქართლ-კახეთს ორი მილიონი მანათი შემოაწერაო (მეფის ძე დავითის თქმით-კი ნახევარი მილიონიო). ამასთანავე გივი ამილახორი განათავისუფლა, მისცა 34,000 ჯარი, გამოისტუმრა და დააბარა თეიმურაზი და ერეკლე შეიპყარ და აქ მომგვარეო. ამასობაში ნადირს უღალატეს და 1747 წელს მაისში მოკლესო. ადილ-შაჰ გახელმწიფდაო. პაპუნა ხარკის რაოდენობაზედ ამბობს: თეიმურაზს შემოაწერა თხუთმეტი ათასი თუმანიო და ერეკლეს ათი-ათასი. მეფეები ხალხითურთ მთებში შეიხიზნენ. ნადირი შესწუხდა. მოსწერა: მიპატიებიაო. ჩამოდით და ქვეყანას მოუარეთო. ჩამოვიდნენ. ყეენმა თეიმურაზი დაიბარა. წავიდა, გზაზე ნადირის მოკვლის, ხოლო ადილ-შაჰს გახელმწიფების ამბავი შეიტყო. ადილ-შაჰ თეიმურაზის სიძე იყო. მას ჰყვანდა თეიმურაზის ასული ქეთევან. ამიტომაც მეფე არხეინად გაემგზავრა ისპაანს.

საქმე, იგივე ვაჭბატონები გაიძახიან; სამურზაყანოელები ნიადაგ ქრისტიანები ყოფილან, იგინი მეგრელები არიან და არა აფხაზებიო.

*** **ლორი** (ბორჩალოს მაზრა): ლორის საბოქაულოში საშინლად მძვინვარებს საქონლის ჭირი. დიდ-ძალი საქონელი იხოცება და პატრონიკი არავინ არის. დახოცილ საქონლის ლეში მინდვრად ჰყრია და ამ პაპანაქება სიცხეში იხრწნება. ამის გამო ჰაერი მოშხამულია. ნეტა რას ფიქრობს ან სოფლის ხალხი, ან სოფლის მოხელეობა და რატომ ან მთავრობა არ მიაქცევს ყურადღებას ასეთს გარემოებას, მერე მაშინ, როცა ხოლერა არის გაჩენილი ევროპასა და აზიაში. ღმერთმა ნუ-კი ქმნას და ჩვენც რომ გვესტუმროს ეს დაუპატიჟებელი სტუმარი, ხომ გაავლო მუსრი თვით მკვიდრთაც და, თუ ეხლა საქონელსა ვჩივით, მაშინ თითონ ჩვენი თავი გაგვიხდა საჩივლელი და სატირალი. ჩვენის აზრით, დიდად საჭიროა, რომ სოფლებში სისუფთავესა და სიწმინდეს მიექცეს სასტიკი ყურადღება. ვგონებთ, სისუფთავითა და სიწმინდით ჩვენში ვერც ერთი სოფელი ვერ მოიწონებს თავს.

*** „Нов. Вр.“ სიტყვით, უწმინდესს სინოდს გადაუწყვეტია, რომ ყოველმა სამრევლო-საეკლესიო კრებულმა უნდა დააარსოს სამრევლო სკოლა ვაჟთა და ქალთათვის იმის დამიუხედავად, თუნდა იმ სოფელში საერო სკოლა იყოს.

*** ივნისის 24, ნაშუადღევის 4 საათზე, სამეგრელოს მერვე როტის ჯარის-კაცი ვასილ სიმონის ძე ხარჩენკო თამამშოვის ბაღთან მტკვარში ბანაობდა და დაირჩო. გვამი ჯერ ვერ უპოვნიათ. გამოძიება სწარმოებს.

*** ამავე დღეს შუაბაზარში ქუთაისის მაზრის სოფ. ბანძას მცხოვრებელი კაცია მიქამე წავენჩუზა თავისავე მეზობელს ალექსანდრე კალანდარიშვილსა და მისე დანელიას და ჯიბის დანით დასჭრა მარცხენა მხარში მისე დანელია. დამნაშავე დაიმალა და იმის საპოვნელად ღონის-ძიებაა მიღებული. დაჭრილი სამკურნალოში გაჰგზავნეს.

*** ოთხს ივნისს ცხენის რკინის გზის საჯინიბოში სათადარიგო ფერეიტორს ბელიკოვს რომ ნივთეულობა მოჰპარეს, დამნაშავე ამ საქმეში აღმოჩენილა სათადარიგო ჯარის-კაცი კოიუმა აკმაევი. ქურდს, როგორც გამოძიებიდამ აღმოჩნდა, ზოგი ნივთეულობა კავკავში გაუყიდნია.

*** ივნისის 24 პოლიციის პირველს ნაწილში, ვერის ხიდთან, დუშეთის მაზრის სოფ. ბასულდის მცხოვრებელი გლეხი დავით ტეგეტაშვილი მტკვარში ბანაობდა და დაირჩო. გვამი ჯერ ვერ უპოვნიათ. გამოძიება სწარმოებს.

*** ამ თთვის 23 პოლიციის პირველს ნაწილში, ნაშუადღევის ოთხს საათზე სპარსეთის ქვეშევრდომი ორი ძმა: დავითი (ორივე თვალით ბრმა) და იოსებ სიმონ ოღლი ტკვარში ბანაობდნენ. ბანაობის დროს წყალმა გაიტაცა ორივე ძმა, მაგრამ ტფილისის მცხოვრებელი მეთევზე ალექსანდრე ყურული მიეშველა და გადაარჩინა ორივენი.

*** ამავე დღეს პოლიციის მესამე ნაწილში, მადათოვის ქუჩაზე, თავ. ორბელიანის სახლში იპოვნეს ახლად დაბადებული მიგდებული ბავშვი. ბავშვი საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

*** ამავე დღესვე, ნაშუადღევის ოთხის ნახევარ საათზე, რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებლის შეგირდი კარლ პალენსკი, 16 წლისა მტკვარში ბანაობდა და დაირჩო. გვამი იპოვნეს პოლიციის მერვე ნაწილის მახლობლად.

*** 20 ივნისს დამრჩვალის დიონოსის სხირტლაძის გვამი უპოვნიათ ნავთლუღში და ნათესავებისათვის გადაუციათ.

◆◆

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

დ. ხონი, 12 ივნისი. ჩვენის საზოგადოების ცხოვრებაში იშვიათად შეხვდებით იმისთანა მოვლენას, რომ ყურადღების ღირსი იყოს და ჩვენის ხალხის გონების მოძრაობასა და მხნეობას ამტკიცებდეს. სიმრავლით ჩვენი საზოგადოება არ ჩამოუვარდება არც ერთს საქართველოს პატარა ქალაქის საზოგადოებას. ყოველ ნაირის წოდებისა და წრის წარმომადგენელი მოინახება ჩვენში: თავადიცა გვყავს, აზნაურიც, ინტელიგენტიც, ვაჭარიცა და მუშა ხალხიც, მაგრამ მაინც ჩვენი ცხოვრება მეტად უფერულია, უსიცოცხლო და მდორე. კეთილის საქმის სურვილს და საზოგადო აზრის გამოღვიძებას სანთლითაც ვერ მოსძებნით ჩვენს საზოგადოებაში. არაფერი ისეთი არ აწუხებს და არ ახალისებს ჩვენს ხალხს, რაც-კი საქართველოს წარსულსა და აწინდელს მდგომარეობას შეეხება, თითქოს ჩვენი დ. ხონი, სრულიად არ არსებობდეს საქართველოში, მთელის ქვეყნიდგან განცალკევებულს ალაგს შეადგენდეს და არავისთან არავითარი დამოკიდებულება არა ჰქონდეს. მართლაც-და არ გვამხნევებს ჩვენის სამშობლოს ავკარგიანობა, არ ვაქცევთ ყურადღებას ევროპიელების კულტურულს მოძრაობას, მეცნიერების წინ-სვლასა და ვარჯიშს, კაცობრიობის გონების განვითარებას და საზოგადო წარმატებას. ყველა ეს ჩვენთვის სრულიადაც საჭირო არ არის. რად გვინდა ან მეცნიერება, ან საზოგადო განათლება, როდესაც „ზეციდგან მოვლინებული ძალა“ ხელს გვიწყობს ყოველს ჩვენს საქმეში და ძალიან კარგად გვეხერხება საჩივრებში, „დანოსებში“, ერთმანეთის გაბიაბრუებაში, კიცხვა-კილვა, ჭორიკანაობა და სხვა ამ გვარში.

აი ასეთს საქმეში იკარგება მთელი დრო ჩვენის ამ ქვეყნიურის არსებობისა; ჩვენთვის დახშულია ყოველი აზრის გამოფხიზლების დამამტკიცებელი მოქმედება, ჩვენთვის არც საზოგადო ზნეობა არსებობს, არც ქველმოქმედება და არც სხვა კეთილშობილურის გრძნობის გამოჩენა. და ასე წარმოიდგინეთ, თითქმის გაზეთებსაც-კი არა ვკითხულობთ, რომ გავიგოთ, სად რა ამბავი ხდება, ვინ როგორ სცხოვრობს, ვინ როგორ სცდილობს საზოგადოების კეთილდღეობისათვის, როგორ სცხოვრობს ყოველი კერძო ადამიანი, რომ ჩვენც იმათის მიხედვით რიგიანად მოვაწყოთ ჩვენი ცხოვრება.

ეხლა ვიკითხოთ, რა არის მიზეზი ზემოხსენებულის გარემოებისა? ნუთუ ჩვენი საზოგადოება ისე დაცემულია, რომ არაფრით-ღა შეიძლება მისი გამობრუნება და სწორე გზაზე დაყენება? მიზეზი ამისა ის გახლავთ, რომ ჩვენი ინტელიგენცია, განათლებულნი წევრნი ჩვენის საზოგადოებისა სრულიად არ ასრულებენ თავის მოვალეობას, ესენიც აქაურ საზოგადო მიმართულებას ეძლევიან და ანგარიშმიუცემლად ჩასთრევიან ჩვენს უფერულსა და ავგლახ ცხოვრებას. ან კი რა ნაირად უნდა გავუმტყუნოთ უფერული, არა-სასიამოვნო ცხოვრება გაუნათლებელ ხალხს, როდესაც თვით ჩვენი „ეგრეთ წოდებული“ ინტელლიგენტებიც არა თაკილობენ ჭორიკანაობას, ბანქოს თამაშს, ცუღლუტობას და სხვა «კაცის დამამშვენებელს» საქციელს. რაც შეეხება ტვინის ვარჯიშობას, მეცნიერების თვალ-ყურის დევნებასა და გონების განვითარებას, ეს ხომ სრულიად აკრძალული ნაყოფია ჩვენის ინტელიგენციისათვის. აგერ-ევერ შეხვდებით ჩვენს განათლებულს ოჯახებში ან „ივერიასა“ და ან „Новое Обозрѣніе“-ს ნომრებს, მაგრამ ძალიან, ძალიან იშვიათად-კი. სხვაზედაც რომ არა ვსთქვათ-რა, ისიც ეყოფა სირცხვილად ჩვენს ინტელიგენციას, რომ ჩვენში ჟურნალ „ჯეჯილის“ ერთი ნომერიც არ მოიპოვება. ნუთუ ჩვენი საზოგადოება ისე შევიწროვებულია ქონების მხრით, რომ 5—6 მანათის გადადება არ შეუძლიან წელიწადში ერთად-ერთის ქართულის ჟურნალის გამოსაწერად. „თუ გულ-გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმევაო“, ნათქვამია. სურვილი და მონდომება იყოს, თორემ ჩვენ საზოგადოებაში ერთი-კი არა, ათიც მოინახება და მოიძებნება იმისთანა კაცი, რომელსაც ადვილად შეუძლიან, არა თუ მარტო „ჯეჯილის“, არამედ ყოველ ქართულს ენაზედ დაბეჭდილ წიგნის ყიდვაც-კი.

რასაკვირველია, ამ გზაზედ წამართული და გონებით დახშული ინტელიგენცია რიგიანად ვერ შეასრულებს თავის ზნეობრივს მოვალეობას ხალხის წინაშე. რაღა თქმა უნდა, რომ გაუნათლებელთაგან იგი მისაბაძავი არ არის და, თუ სიავე არა, არავითარი სიკეთე არ მოაქვს ჩვენის ერისათვის, რომელსაც იგი უნდა გაუძღვეს წინ განათლებისა და ადამიანურ ცხოვრების გზაზედ. ან ღმერთმა დაიფაროს იგი ასეთის მეთაურობისაგან და ან სად შეუძლიან, როდესაც საქმე მარტოოდენ ქაღალდის თამაშობა გახდომია და ადამიანურს, ჭეშმარიტს ცხოვრებასთან ძალიან უმძრახადა ბრძანდება. ადამიანური ადამიანი ხომ იმასა ჰქვიან, ვისაც შეგნებული აქვს საზოგადო მოღვაწეობის მნიშვნელობა და საჭიროება, ვინც უპირველეს მოთხოვნილებად გონების განვითარებას, აზრის შემუშავებასა და იდეალის გამორკვევასა სთვლის და სხვადა-სხვა ასპარეზზედ ჰმოქმედობს საზოგადოების სასარგებლოდ. ჩვენებს აბა რა მიუგავთ ამას, ასეთი საქმის მცოდნე და მხნეობით აღვსილი მოღვაწე სანთლითაც არ მოიძებნება ჩვენში, საზოგადო საქმე მივიწყებულია და ჩაილულის წყალსა სვამს, ყველა უშინაარსო და უფერულს ცხოვრებას მისცემია, ყველას საზოგადო იდეალად გადაუქცევია ბანქოს თამაში და ბოდბელი ანდაზა, რომ ოღონდ მე ვიყო და თუნდა ქვა-ქვაზედაც ნუ ყოფილა, ქვეყანა და ქვეყნის საქმე ფეხებზედ მკიდიაო...

ერთად-ერთი სანუგეშო ამბავი ჩვენის ცხოვრებისა ისევ საეკლესიო სამრევლო სკოლაა, დაარსებული ამ ორის წლის წინად დ. ხონში პატივცემულის ბლაღოჩინის მ. მაჭარაძის მიერ. ეს სკოლა დიდის ყურადღების ღირსია და სამაგალითო სკოლადაც უნდა ჩაითვალოს. 9 ამ თთვისას ამ სკოლაში წლიური ეგზამენი იყო და რამდენიმე კაცი დაესწრო. ბავშვები თამამად, მხნედ, დაბეჯითებით აძლევდნენ პასუხს მასწავლებლის ყოველს საკითხზედ. ორის წლის განმავლობაში ბავშვებს მშვენიერად შეუსწავლიათ ქართული და რუსული წერა-კითხვა, რიცხვები მილიონამდე, ლოცვები, საღმთო ისტორია და ისე ლამაზად კითხულობენ ქართულად, რომ სასიამოვნოა იმათი მოსმენა.

ბი, დაღისტანის-ხანი აზატ-ხან და საქართველოს ელები: შამადიანი, ყაზახი, ბორჩალუ-დემურჩალუ, ბაიდარი და სხვანი ყოველნი ხურდაომილები და მოვიდნენ ტფილისის სიახლოვესა, ქალაქს. მხილველი ამისი მეფე ირაკლი განვიდა უ-იდად მცირითა ჯარითა. ეკვეთა ძლიერად. მოსცა ღმერთმა ძლევა მეფესა ირაკლის, გაიმარჯვა. წარვიდა აბდულა-ბეგ მეოტი: შევიდა ციხესა სამშვილდისასა და გაამაგრა.

წელსა 1748 გადაიბირნა ქალაქის ციხის მცველნი მეციხოვნენი აბდულა ბეგმან (ვახტანგ მეფის ძმის იესეს შვილი იყო, ქართლის ტახტის მეძიებელი), და უკუ უდგნენ მეფესა ირაკლის და უცნობლად საქმისა დაიწყეს ციხიდამ თოფთა და ზარბაზანთა სროლა ტფილისს ქალაქსა შინა. ხოლო გადგა მეფე ქართლისა და კახეთისა ჯარებით და უმეტეს ტფილისის მოქალაქენი. ჰბრძოდენ ციხესა და მტკიცედ ჰსდგენ ერთგულობასა ზედა მეფის ირაკლისასა. აბდულა-ბეგმაცა შემოაშველა ციხეში ხუთასი ლეკი. და იყო დღე ყოველ ბრძოლა. ამ ჟამზე მოვიდა დაღისტნის ბელადი ყოჯალ დიდის ჯარით და ავჭლები დაარბივა, ტყვე და საქონელი წაიღო. ჰსცნა-რა ესე მეფემან ირაკლი, რაიცა ჯარები ჰყვანდა, ტფილისის ციხის საბრძოლველად დაუტევა და თითონ ორასის კაცით მტკვარს გასცურდნენ და ყოჯალ ბელადს გამოუდგა და მდევრულად ქისიყის ჯარიც შემოიყარა ნაპირის სოფლებიდამ, გადაასწრო, ქისიყის ბოლოს შირაქში შემოეყარა: შეება ყოჯალს და ფიცხელი ომი მოუხდათ. მოსცა ძლევა ღმერთმან მეფესა ირაკლის და გაიმარჯვა. მრავალი ლეკი მოკლეს, ტყვე და საქონელი სულ დააყრევინეს.

გამობრუნდა ირაკლი და იქავ შირაქის თავში დედოფლის წყაროზედ მობრძანდა და იქ დადგა. ეს ყოჯალ გარდანარჩომის ჯარით წარვიდა და ამათ სხვა დაღისტნის ჯარი შემოეყარა, ახალი მომავალი. ამ დამარცხებულთა ყოველი თვისი გარდახავალი უამბეს. ამ ახალმა ჯარმა უთხრა ყოჯალ ბელადს: თუ იმ თქვენს ნაშოვარს ტყვესა და საქონელში წილსა დაგვიდებთ, დღეს ისინი ვერსად გაგვასწორებენ, ჩვენც გიშველით, მოვეწევით და ისევ გავაყრევინებთო. რა ეს ყოჯალს უთხრეს, ესეც ფრიად გამხიარულდა. შეითქვნენ, წარმოვიდნენ, იმ ღამეს იარეს და, მეორე დილა რომ გათენდა, დედოფლის წყაროზედ მოვიდნენ და მეფეს ირაკლის თავს დაესხნენ. გარნა ძლიერი იგი და მკნე ირაკლი მეფე უწინარეს ყოველთა შეჯდა ცხენზედ და თვით ესროლა თოფი და ყველაზედ უწინ მოკლა ლეკი და უბრძანა ჯართა მკნედ შეტევება. შეუტიეს ყოველთა მუნ მყოფთა ქართველთა და დაამარცხეს იგი უმეტეს პირველისა ლეკის ჯარნი და მრავალნი ლეკნი მოსწყვიდნეს.

წამობრძანდა იქიდამ და ტფილისის ციხე აიღო[3]), თვისი მეციხოვნენი შეაყენა. წაბრძანდა, სამშვილდის ციხე აიღო და მოვიდა გამარჯვებული ტფილისად.

წელსა 1749 მეფე თეიმურაზ თეირანიდამ მობრძანდა. ერანში იბრეიმ შაჰ მოკლეს[4]). სრულიად ერანი აირია. ერთმანეთს რბევა, ტყვენვა და ოკრება დაუწყეს. ამ ჟამზედ მაჰმად ხან ვინმე, ადრიბეჯანის მკარეს გაძლიერებული, მრავალს ქვეყანას აოკრებდა. რომლისათვის მოსწერეს მეფეს თეიმურაზს და მეფეს ერეკლეს ერევნელთა: ერანში მეპატრონე აღარ არის და ეს მაჰმად ხან ქვეყანას აოკრებსო. მოგვეშველენით, ამას მოგვარჩინეთ და თქვენ გემსახურებითო. ამაზე მეფე თეიმურაზ და მეფე ირაკლი ორნივ ჯარებით წაბრძანდნენ ერევნის მისაშველებლად. ხოლო მეფე ირაკლი წინ წავიდა ხუთასის კაცით. ეს რომ მაჰმადხანმან შეიტყო (ბუტკოვი ამას ფასახანს უწოდებს, მაგრამ ფასა სხვა იყო) თავისის სრულის ჯარით წინ მოეგება და მეფეს ირაკლის შემოება. მოსცა ღმერთმან ძლევა და გაიმარჯვა მეფეს ირაკლის. გაიქცა მაჰმად ხან და ყარაბაღში წავიდა. ბარგვირაბის ციხე გამაგრებული ჰქონდა მაჰმად ხანს და თავისი ცოლშვილი იმაში ჰყვანდა. მივიდა მეფე ირაკლი, შემოადგა, იგი ციხე აიღო და მაჰმად ხანის ცოლშვილიც გამოიყვანა და რაიცა აქვნდა სიმდიდრე-ხაზინისა, ყოველივე მეფესა ირაკლის დარჩა. წამოიღო და მობრძანდა ერევანს. მოვიდნენ ერევნელები მეფეს თეიმურაზთან და მეფეს ირაკლისთან და თვით ერევნის ხანიც მოვიდა. მოსცეს თავი მოსამსახურედ, დასდვეს ხარკი და დასვეს თავეთი კაცი ერევანში და გამობრუნდნენ მეფენი.

ხოლო სანამ მეფენი აქედამ გამობრუნდებოდენ, ყარაბაღის ხანი ფანა, განჯისა შავერდიხან და ნუხის ხანი აჯ ჩალაბი შეკრბენ განჯა-ყარაბაღისა და შაქი-შირვანის ჯარებით და მოვიდნენ ყაზახში აღტაფაზედ. ამ ჟამზედვე მეფენიცა ერევნიდამ ყაზახში გაბრძანდნენ. გარნა ამ შეკრებულმან ხანებმან ომი ველარ გაუბედეს, მიჰრიდეს და სიმაგრეში დადგნენ. დაუწყეს მეფეს თეიმურაზს და მეფეს ირაკლის ლაპარაკი მშვიდობისა და ზავი ჰყვეს ურთიერთისადმი და გაბრუნდნენ. ხოლო მეფენი მობრძანდნენ ტფილისს გამარჯვებულნი (მეგრიდგან იყო ერე-

---

[3]) პაპუნა: ერეკლეს გაუჭირდა ციხის აღება. მაშინ მოატანინა გორიდამ დიდი ზარბაზანი, რომელიც „იტყოდენ ორი ათასი ლიტრა არისო“. ათი ლიტრა ტყვია მოუნდის“, ამ ზარბაზნით დაუშინეს ციხეს და მალე დაიმორჩილეს.

[4]) ადილ-შამ ცხრა თვე იმეფა. იგი მოჰკლა ძმამ იბრეიმმა და თვითონ გახელმწიფდა. იბრეიმიც მოჰკლა ნადირის შვილი შაჰ როხმა და თვითონ გახელმწიფდა (ბუტკ. გვერ. 233—235).

მასთანვე ისიც უნდა მოვიხსენიოთ,
ომ ეგ ზემოაღნიშნული სკოლა მა-
ერიალურის მხრით მეტად შევიწ-
როებულია, საეპარქიო მთავრობისა-
ან ჯერ-ჯერობით არავითარი შემწე-
ბა არ ეძლევა, მხოლოდ ბავშვების
ერ შემოტანილის სწავლის ფუ-
ით არსებობს. წელს ამ სკოლაში
2 შეგირდია. წლიური გადასახადი
ითო შეგირდზე დანიშნულია 6—8
ნეთამდე შეძლების-და გვარად, ასე
ომ მასწავლებელს ოც-და-ხუთს თუ-
ნზე მეტი არი ხვდება ჯამაგირი. ეს
რემოება ცხადად გვიმტკიცებს, რომ
სწავლებლის დამაარსებელნი, ჯილ-
ოს სიხარბით-კი არა, ბავშვების აღ-
რდის სიყვარულით აღჭურვილნი
რომობენ და ყოველ ღონის-ძიებას
მარობენ სკოლის კეთილ-დღეობი-
თვის. ურიგო არ იქნებოდა, ვგო-
ბთ, რომ ჩვენს საზოგადოებას თა-
გრძნობა და შემწეობა აღმოეჩინა
მეტად სასარგებლო სკოლისა-
ვის... მაგრამ ამისთანა „უბრალო
უმნიშვნელო“ საქმისათვის რად
იფრთხობს ძილს ჩვენი ინტელიგენ-
ა, ამისთვის სადა სცალიან, თქვენ-
ნ არ მიკვირს, რომ ამისთანა კუწ-
ნ საგანს ყურადღება ათხოვოს!

მიხეილ სალარაძე.

◆◆

წვრილი ამბები

„Saale Zeitung“-ი ამბობს, რომ
რმანიის იმპერატორის სურვილი და
დილი ახლა რუსულის ენის შესწავლა
ისო. პეტერბურგში რომ იყო, მას
ით დიდის გულმოდგინებით სწავლობს
ეი უდიდებულესობა რუსულს ენას და
ენად შეითვისა კიდეც, რომ იმედი
ს, მეორეჯერ პეტერბურგში ყოფნის
ოს თავისუფლად შეეძლებ ლაპარაკ-
ა. გარდა ამისა იმპერატორი დიდის
ადღებით კითხულობს რუსულ გაზე-
ს, რომელიც ბლომად აქვს გამოწე-
ლი.

— მაინცში 22 ივნისს დღესასწაუ-
გაჰმართეს შესანიშნავის გუტენბე-
ის სახსოვრად. დღესასწაულზე გა-
თული იყო გამოფენა სასტამბო ხე-
ვნებისა. უფრო ერთს გამოფენილ
ოს მაინცის მუზეუმს გადასცემენ შე-
ნახავად.

— ამას წინად გერმანიის იმპერატორმა ვილჰელმმა დაჰპატიჟა გენერალი კაპრივი და სხვა საკანონმდებლო კრების წევრნი და წაიყვანა სასეირნოდ განზეიზედ მდებარე კუნძულზედ, რომელსაც „ფარშავანგის კუნძული“ ეწოდება. სეირნობის დროს იმპერატორი ძალიან მხიარული იყო და მეგობრულად ებაასებოდა პარლამენტის წევრებს. ბაასი უფრო მუშათა საქმეს შეეხებოდა. იმპერატორი გაცხარებით ამტკიცებდა, რომ მშიერ კაცს ერთის ლუკმის მიწოდება ვერას უშველის და მუშათა ბედის გასაკეთებლად სრულიად საკმაო არ არის, ქარხანასა და ფაბრიკაში მაშინით დასასახიჩრებულს ანუ მოხუცებულობით მიხრწნილს და დაუძლურებულს მუშას ორიოდე გროშის შემწეობა აღმოუჩინო. ამისთანა დახმარება ულონოს და უფრო მოწყალებას ემსგავსება, ვიდრე ნამდვილს ქველ-მოქმედებასო. საჭიროა ძირიან შეცვალოს მუშათა ბედი, ასე რომ ჩვენი ნასუფრალი, ჩვენი მოწყალება აღარ იყოს იმათთვის საჭიროო. საღამო იმპერატორმა და მისმა სტუმრებმა ამ კუნძულის კოშკში გაატარეს. იმპერატორი მეტის-მეტად მხიარული იყო და ცხარედ ებაასებოდა და ეკამათებოდა თავის სტუმრებს.

— ბროუნ-სეკარმა ამ დღეებში პარიჟის საბიოლოგო საზოგადოებას აუწყა ახლად აღმოჩენილი გამამკურნებელი თვისება თავის მიერ გამოგონილის სითხისა. ერთი ციებ-ცხელებიანი ავადმყოფი სამი წელიწადი ვერ ამდგარიყო საწოლიდგან და როგორც-კი ცოტაოდენი ბროუნ-სეკარის სითხე შეუშხაპუნეს სხეულში, იმ წამსვე სრულიად განთავისუფლდა თავის დიდის ხნის ავადმყოფობისაგან მეორე ციებ-ცხელებიანიც მალე მორჩა ამავე სითხის შემწეობითაო. ვისაც დამბლა ჰქონია, გაციების გამოტეხვა აქვს, უმილობა, გულის ფრიალი, იმათაც შხაპუნებისათანავე არჩენს ბროუნ-სეკარის სითხე. ბროუნ-სეკარმა ერთი ისეთი მაგალითიც დაასახელა თურმე, რომ ერთი სისხლ-ნაკლები ქალი ბროუნ-სეკარის წვენმა სრულიად განკურნაო.

პარიჟის საბიოლოგიო საზოგადოების მეორე წევრმა დ'არსონვალმა, „College de France“-ის ადიუნქტ-პროფესორმა, აუწყა საზოგადოებას, რომ ერთს ჩემს ამხანაგს არა სჯეროდა ბროუნ-სეკარის სითხის განმკურნებელი თვისება და იმის დასამტკიცებლად, რომ ამ სითხეს არავითარი გავლენა არა აქვს ადამიანზეო, თითონ შეიშხაპუნა. ჩემს ამხანაგს აციებდა და გარდა ამისა დიდხანს არ შეეძლო გონებით მუშაობაო. რაკი ცოტაოდენი ბროუნ-სეკარის სითხე შეიშხაპუნა, ციებამაც თავი დაანება და გონებითაც უწინდებურადვე დაიწყო მუშაობაო.

◆◆

გეგმა (პროექტი)

წესდება

(გაგრძელება *)

§ 80. ზესთა უჩვეულესი აქციონერთა კრება შეგროვდება თვით გამგეობის ნებით, ან ისეთ აქციონერთა თხოვნით, რომელთაცა აქვსთ 100 აქცია, ან რევიზორების თხოვნით, როდესაც საჩქაროდ საქმის გადაუწყვეტლობით შეიძლება, რომ დიდი ზარალი მიეცეს მოვაჭრე საზოგადოებასა. ამ გვარი თხოვნა აქციონერებისა და რევიზორებისა უნდა აღასრულოს გამგეობამ არა უგვიანეს ერთის თთვისა, ქაღალდის მიღების შემდგომ.

§ 81. ადგილი და ვადა, სად და როდის უნდა შეგროვდნენ აქციონერები, გამოცხადდება ერთის თთვის წინად გაზეთებში. ამასთან უნდა იყვეს გარკვევით აღწერილი ის საგნები, რომელზედაც იქნება ლაპარაკი კრებაში. ამ შემთხვევაში არავისა აქვს უფლება შემოიტანოს ახალი აზრი კრების გასასინჯავად და გადასაწყვეტლად.

§ 82. კრებაში, როგორც ჩვეულებითში, ისე ზესთა უჩვეულესში, მიიღებენ მონაწილეობასა აქციონერები თვითონ, ან თავის მაგივრად გამოგზავნიან ვექილსა. ვექილად შეიძლება ამოირჩიონ ისეთი პირი, რომელიცა თვითონ არის აქციონერი და აქვს კრებაში ხმა (§ 4). ამასთან ერთს ვექილს არ შეუძლია ორზე მეტი ვექილობის წერილი იქონიოს.

§ 83. ყოველს აქციის პატრონს აქვს სრული ნება დაესწროს აქციონერთა საზოგადო კრებაში და მიიღოს მონაწილეობა საქმეების გარჩევაში, ბაასში, თათბირში, მაგრამ საქმის გადაწყვეტაში აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა,—ე. ი. შევიდეს კენჭის ყრაში, მხოლოდ იმ პირსა, რომელსაც ხელთ უჭირავს ოც-და-ხუთი აქცია. ამასთან 50 აქციის პატრონს აქვს ორი ხმა; ასის აქციის პატრონს აქვს სამი ხმა; ორასზედ მეტს აქციის პატრონს აქვს ოთხი ხმა. ოთხზედ მეტი ხმა თავისი საკუთარი აქციების ძალით არავის შეუძლია ჰქონდეს. მხოლოდ ვექილობით შეუძლია იქონიოს კიდევ ორი ხმა, ე. ი. სულ იქონიოს ექვსი ხმა (ექვსი კენჭი).

§ 84. აქციონერებს, რომელთაც აქვსთ ოც-და-ხუთზედ ნაკლები აქცია, ეძლევათ უფლება შეაერთონ აქციები ვექილობის წერილით, ერთისა ანუ რამდენისამე ხმის შესარდგენლად, როგორც ნათქვამია წინა მუხლში.

§ 85. თუ ვინიცობაა აქციები ერგო ვისმე მემკვიდრეობით, ან სხვა რომელისამე კანონის ძალით, რამდენსამე პირსა, კრებაში შეუძლია ხმა იქონიოს ერთმა მათგანმა, დანარჩენის მემკვიდრეებისა და აქციის პატრონების ამორჩევით. ხაზინას თუ დარჩა რომელისამე შემთხვევით აქციები, აქვს უფლება კრებაში იყოლიოს ერთი ვექილი, რომელსაცა ექმნება იმდენი ხმა, რამდენიც ყოველს აქციონერსა თანხმად § 83.

§ 86. ყოველმა აქციონერმა, რომელსაცა სურს კრებაში დასწრობა და ხმის მიცემა, უნდა წარუდგინოს გამგეობას თავისი აქციები შეიდის დღის წინად, ვიდრე კრება შეიყრებოდეს. თუ რომელსამე აქციის პატრონს თავისი აქციები აქვს მიცემული წინდად სახელმწიფო საქმეებში, იმან უნდა წარუდგინოს გამგეობას კვიტანცია, ან მოწმობა აქციების იქ ყოფნისა ნუმრების აღნიშვნით.

§ 87. მხოლოდ ის კრება შეირიცხება კანონიერად, რომელშიაც მიიღებს მონაწილეობასა, თვითონ ან ვექილის წერილით, იმდენი აქციონერი, რომელთაც შემოტანილი აქციის ფული შეადგენს ნახევარს მთელის თანხისასა (თანაისას).

§ 88. იმისთანა საქმეების განსახილველად, რომელიც შეეხება: ა) ვაჭრობის გავრცელებასა; ბ) თავნის (თანხის) მომატებასა; გ) ამ წესდებულების შეცვლასა და დ) ამ ვაჭრობის სრულებით გაუქმებასა, უნდა დაესწროს კრებაში უთუოდ იმდენი აქციონერი ვექილებითურთ, რომელთაგანაც შემოტანილი თავნი (ანუ აქციის ფასი) შეადგენს მთელის თავნის სამს ჩარექსა ($^3/_4$).

§ 89. თუ რომ კრება არ შესდგება ისე, როგორც ამ ორს წინა მუხლში (§ 87 და 88) არის ნათქვამი, მაშინ ხელ-მეორედ უნდა დაინიშნოს ერთის თთვის შემდგომ ახალი კრება. ეს მეორედ მოწვეული კრება შეირიცხება კანონიერად, რამდენი აქციაც უნდა იყვეს წარმოდგენილი, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ გამგეობამ თვით მოსაწვევარ უწყებაში უნდა გამოაცხადოს ამ კანონის ძალა. ამისთანა კრებაში განიხილება და გადაწყდება მხოლოდ ის საქმეები, რომელნიც უნდა ყოფილიყვნენ განხილულნი იმ კრებაში, რომელიც არ შესდგა.

§ 90. განაჩენს აქციონერთა კრებისასა მაშინ აქვს კანონიერი ძალა, როდესაც იმისი თანახმანი იქმნებიან სამი ჩარექი ($^3/_4$) რიცხვი კრებაში დამსწრე აქციონერთა და ვექილებისა. თუ ვინიცობაა, რომელისამე საქმის გადასაწყვეტად, არ შესდგა სამი ჩარექი ($^3/_4$) ხმა, ეს იმასა ნიშნავს, რომ საქმე არ იქმნა მიღებული. ამისთანა საქმე შეიძლება მოხსენდეს კრებასა შემდგომს რომელსამე სხდომაში.

(შემდეგი იქნება)

◆◆

გამოსადეგი ცნობანი

საფრანგეთის შესანიშნავი მეცნიერი პასტერი შემდეგს რჩევას იძლევა, რომ ხოლერა არავის შეხვდეს და არ გავრცელდეს: უნდა ერიდოთ გადაჭარბებულს სმა-ჭამასა და ცუდს ცხოვრებას. ოთახი სუფთად უნდა შეინახოთ და შიგ არც ნასუფრალი და არც გაურეცხელი ტანთსაცმელი არ დასტოვოთ. თეთრეული და ქვეშაგების პირი ხშირ-ხშირად უნდა იცვალოთ და ძალიან სუფთად გქონდეთ შენახული. ხშირად იარეთ აბანოში და ტანი სუფთად შეინახეთ, ერთის სა-

---

ი მოხარკეობასა შინა მეფეთასა ვიდ-
მასვლადმდე საქართველოსა შინა
ჯარ ალა-მაჰმად ხანისასა, გარნა
ცა მან მოშალა სრულიად ერევ-
ა სამსახური საქართველოსადმი).
წელსა 1750 მოვიდა ყარაბაღის
ი ფანა, განჯას შემოადგა. მოს-
ა განჯის ხანმან და განჯელებმან,
ითხოვეს შეწევნა მეფისა თეიმუ-
ზისა და მეფისა ირაკლისაგან. ამის-
ს შემოიკრიბეს ჯარები მეფეებმან
წარემართნენ. ესენი რომ ყაზახში
რძანდნენ, ფანა ხანმან რომ იმათი
ელობა შეიტყო, განჯას შემოე-
ლა და თვისსავე ქვეყანას ყარა-
ში წავიდა. გარნა ჯარები გაიმ-
ლა.[5] ეს მეფეები რომ განჯას
რძანდნენ, განჯის შაჰვერდი ხან
ისი ჯარებით მეფეებს შემოეყარა
წარვიდნენ ყარაბაღში. ფანა ხანი
ის ჯარებით მოეგება საბრძოლ-
ად და ერთმანერთის მიშორებით
დგნენ: ხოლო მეფე ირაკლი ორ-
კაცით ჯარების დასაჭერავად წა-
ვიდა. იმათაც შეეტყვეს და ერთიანად ჯარებმა შემოუტიეს; მეფემან ირაკლიმ ამ ამბის საცნობლად ერთი კაცი გაგზავნა მეფე თეიმურაზთან და ეს ამბავი აცნობა. ხოლო თვით მეფე ირაკლი ამ ცოტას ჯარით საბრძოლველად დაუდგა: ვითარცა მოპირდაპირე ესრეთი გამბედავი, არა ჰრიდებდა ომსა. შეექმნათ ომი და გაგრძელდა ბრძოლა. მეფე თეიმურაზცა ჯარებით მიეგება. გარნა უწინარესვე გაემარჯვა და სანამ მეფე თეიმურაზ მიბრძანდებოდა, მისცა ღმერთმან ძლევა მეფეს ირაკლის და დაამარცხა იგი მძლავრი ჯარი. ამ გაქცეულთა ჯართა ეწივნენ მდევრულად მეფის თეიმურაზის ჯარიცა. მრავალი მოკლეს და დაიჭირეს. მეორეს დღეს ორნივ მეფენი ყარაბაღის მოსარბევლად განემზადნენ და მთელი ყარაბაღის მამული არეზს გამოღმა სულ დაარბიეს და მრავალი იშოვნეს. დაჰყვეს მუნ თთვე ორი და მოინდვეს მთელნი ყარაბაღელნი და დასდვეს ხარკი განჯა-ყარაბაღსა და მისცეს ამის პირობა: „სადაცა ჯარიც გინდოდესთ, ჯარიც მოგცეთო“. წამობრძანდნენ და მოვიდნენ ტფილისს გამარჯვებულნი.[6]

ხოლო ამავე წელს შეიკრიბნენ დაღისტანელნი, მოვიდნენ მოპარვის გვარად, ვითარცა არს მარადის ჩვეულება მათი, და დაარბიეს ელები და მრავალი იშოვეს ტყვე და საქონელი. ჰსცნეს-რა ესე მეფეთა, გამოუდგნენ, მიეწივნენ დამლისს, სადაცა ერთვის იორის მდინარე ალაზნის მდინარესა. ამ ალაზნის პირზედ შეიბნენ. მოსცათ ძლევა ღმერთმან მეფეთა და გაემარჯვათ. მრავალი კაცი მოკლეს და უმრავლესი ალაზნისაგან მოიშთვნენ ლეკნი და გარდანარჩომნი, რომელნიცა გაღმა გავიდნენ, არცა იგინი განათავისუფლეს. გაჰყვნენ გაღმა და შეშინებულთა ამა გარდანარჩომთა ლეკთა მიჰმართეს ერთსა დამწვარსა ფლატიანსა გორებსა. სიმაგრის იმედეულნი, შევიდნენ-რა ამ გორებში, მოჰსკდა ეს ფლატიანი დამწვარი გორა და ასე დაინთქნენ ეს გარდანარჩომნიცა ლეკნი ისე, რომ მოამბეც არღარა წარსრულა. წამოვიდნენ მეფენი, გამარჯვებულნი მოვიდნენ ტფილისს და მიერითგან ვერღარა იკადრეს ლეკთა ჯარად გამოსვლა, თვინიერ ქურდულად ავაზაკობისა.

ხოლო წელსა ქრისტესით 1752, ქართულსა ულთ წაბრძანდნენ ორნივე მეფენი ჭარისა და შაქი-შარვანის დასაბყრობლად ჯარები შემოიყარეს, იორზედ ჩავიდნენ იქ გაერივნენ განჯა-ყარაბაღის ხანები ჯარებით. წავიდნენ, ჭარი დაავდეს და ჭარს ქვეით აგრიზედ გავიდნენ. მოვიდა ნუხის ხანი აჯი ჩალაბი იდუმალ მეფეთა თანა მტრობით განჯისა და სხვათა ხანებთან, გადაიბირნა ესე ხანები. მეორეს დღეს შემოება აჯი ჩალაბი, მეფეთაც დასტები დააწყვეს და მიჰმართეს ძლიერად და ორი დასტა დაამარცხეს აჯი ჩალაბისა ქართლელთა და კახთა და ორი ძლიერი სანგარი დააგდებინეს. მაშინ აჯი-ჩალაბი მოუხდა ყიზილბაშთ ხანების (პაპუნას თქმით განჯის ჯარი) დასტას და განზრახვითა ურთიერთისათა უწინარეს მისვლისა გამოიქცნენ ესე ხანები თვისისა პირობისამებრ და წავიდნენ თვისსა მხარესა მშვიდობიანად. რა ესენი გაქცეულნი ნახეს საქართველოს ჯარმა, ესენიცა აირივნენ და ურიგულობამან ჯარმან ვერღარა შეუძლეს დადგრომად. გამოიქცნენ მეფენი, სიმხნითა თვისითა მრავალს ეცადნენ, გარნა ვერღარა შეიმაგრეს ჯარი და მიზეზითა ამით მრავალნი მოსწყდნენ ქართლელ-კახნი და უმრავლესნი ალაზანსა შინა მოიშთვნენ. მოვიდნენ ორნივე მეფენი ტფილისს დამარცხებულნი, ხოლო ესე იქმნა თთვესა თებერვალსა[7].

(შემდეგი იქნება)

---

*) იხ. „ივერია“ №№ 125, 126, 127, 128 129 131 132 და 133.

[5] ბუტკოვი ამ გალაშქრებას უჩვენებს
9 წ. და ამბობს, რომ თეიმურაზ ამ ლაშ-
40,000 კაცი ჯარი ჰყვანდაო (გვ.
).

[6] ამავე ქორონიკონში პაპუნა აღწერს თეიმურაზისა და ერეკლეს მოგზაურობას დაპყრობილ სახანოებში. მეფენი მისულან განჯას, გაურიგებიათ საქმენი ერევნის ხანისა, ყაზახის სულთანისა, ბორჩალუსი, შირვანისა, ნუხისა. განჯელებისთვის გამოურთმევიათ 100,000 მან. სხვათა მოუციათ, მრავალ საჩუქარს გარდა, 200,000 ცხვარი. დაბრუნებულან მშვიდობით ტფილისს.

[7] პაპუნა: ჭარს გარდა პირ-აქეთ წყლის ბატონს მტერი აღარა ჰყვანდა. ამიტომაც ჭარის აღება დააპირეს. შემოიყარეს მეფეებმა ჯარი, მოიშველიეს ყაზახ-ბორჩალოსი და განჯა-ს ხანებიცა და გაემართნენ ჭარს. მაგრამ ამ დროს განდგა ნუხის ხანი აჯიჩალაბი. ამას შეეყარა დიდ-ძალი ლაშქარი. ჭარელნიც მიეშველებინა, აგრეთვე კაკის სულთანიც. ქართველნი გავიდნენ ალაზანს გაღმა [illegible]. შეიბნენ. ქართველთა მტრის ორი დასტა შემუსრეს. მაგრამ აჯიჩალაბის [illegible] დასტამ შეუტია ხანებს. იგინი უბრძოლველად გაიქცნენ. აირივა ჯარი. ერეკლეს [illegible] ამ ჯარი ვერ შეაყენა. გაიქცნენ. ბუტკოვი: აჯიჩალაბმა ლეკისა და ჭარის ჯარი მიიხმო და დაამარცხა ერეკლე.

ტყვით, შუშუსა და სიბინძურეს ერიდეთ. წყალი გადაადუღეთ, გააციეთ და ეს ნადუღარი სვით. ყურადღება მიაქციეთ აგრეთვე მუცლის ტკივილს და საზოგადოდ კუჭის ავადმყოფობას, რადგან, როგორც გამოცდილება ამტკიცებს, იციან, რომ ხოლერა კუჭით ავადმყოფს უფრო ეტანება.

◆◆

დეპეშა

23 ივნისი

პეტერბურგი. „Нов Вр.“ იუწყება, რომ მიწათა გამიჯვნის უწყების შეცვლის შემდეგ გამიჯვნის საქმის საბჭო პეტერბურგში-კი არა, მოსკოვში იქნება დაარსებული.

ათინა. საბერძნეთისა და სერბიის ელჩებმა პორტას ბოლგარიის ნოტას შესახებ სიტყვიერის ნოტით მიჰმართეს.

კოპენჰაგენი. თავად ბისმარკს არ უნდა თავი დაანებოს თავის კანდიდატურას კეიზერსლაუტერნში. პარლამენტში თავადი მხოლოდ მაშინ გამოცხადდება, როდესაც საჭირო არ იქნება პრინციპიური წინააღმდეგობა გაუწიოს იმპერატორის მთავრობას. მაშინ იგი ნაციონალ-ლიბერალთა დეპუტატობას იკისრებს.

ვენა. აქ ჰსურთ მორიგებით გაათაონ სერბიიდამ ღორების შეტანის საქმე.

მადრიდი. ვალენციის ათს სოფელში 21 კაცს შეხვდა ხოლერა და მათში 13 გარდაიცვალა.

ბერლინი. აქ საგანგებო მატარებლით ბევრნი მოვიდნენ საერთა-შორისო სროლის ჯიბრში დასასწრებლად. გერმანიას გარდა ბევრია მოსული აგრეთვე ავსტრიისა, ვენგრიისა, შვეიცარიისა, იტალიისა და ჰოლანდიიდგანაც.

24 ივნისი

პეტერბურგი. „Церк· Вѣд.“-ში დაბეჭდილია გარდაწყვეტილება უწმ. სინოდისა, რომ თითოეულს მრევლში შემოღებულ იქმნას საუბარი სარწმუნოების შესახებ მრევლის საყურადღებოდ.

«Гражд.»-ი იუწყება, რომ ამ დღეებში დაიბეჭდება ახალი დარიგება მნათეებისათვისაო.

«С.-Пет. Вѣд.»-ი ამბობს, რომ შემუშავებულ იქმნა პროექტი, რომლის ძალითაც ზოგიერთი ცვლილება უნდა შემოიღონ დღევანდელს საქალაქო დებულებაშიო.

ვენა. ვენგრიის ვაჭრობის მინისტრი ბაროში მალე აპირობს წასვლას ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე; მინისტრს აზრად აქვს შეიტყოს, რა ყოფაშია ბოლგარია ვაჭრობის მხრით.

ოფიციალურ ცნობათა მიხედვით ვენგრიაში პურის მოსავალი შუათანაზე ნაკლები იქმნებაო.

25 ივნისი

პეტერბურგი. „Нов. Время“-ს გაუგონია, რომ გარდაწყვეტილია გარდასახადთა ინსპექტორებს მიაღებინონ მონაწილეობა და თვალ-ყური დააჭერინონ სოფლის საკრედიტო დაწესებულებასა და მოხელეებზედაც; რომელთაც სოფლის პატრონობა და გლეხთა გარდასახადის კრეფა აქვთ მინდობილიო.

„Гражд·“-ი ამბობს, რომ წრეულის სამხედრო სასწავლებლებში იმდენად ბევრს არ მიიღებენ სამოქალაქო საშუალო სასწავლებლებში სწავლა-დამთავრებულთ, რადგანაც თითქმის ყველა ვაკანსია კადეტების კორპუსებში სწავლა-დამთავრებულთ დაეთმობათო.

გაპსალი. შაბათს საღამოს ხომალდით „აზია“ აქ მობრძანდნენ დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე და დიდი მთავრინა ელისაბედ მავრიკის ასული. ახლად მოსულთ სადღესასწაულოდ მორთულს ნავთსადგურზედ მიეგებნენ წარჩინებულნი მოხელენი და ქალაქის მოურავი პურ-მარილით.

ბუხარა. შაბათს აქ მოვიდა რუსეთის ახალი საპოლიტიკო აგენტი ლესსარი, რომელსაც დიდის, არაჩვეულებრივის პატივით დაუხვდნენ.

ჩარჯუი. ჩარჯუისა და კაზალინსკს შორის გემ-ხომალდთა მისვლა-მოსვლაა გამართული. ეს პირველი ცდაა, რომ არალის ზღვით პირდაპირ დადიოდეს გემი ამუ-დარიიდგან სირ-დარიაში.

პეტერბურგის ბირჟა, 22 ივნისი.

	მყიდველნი ხა.	გამყიდველნია.	გაყიდულნია.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანეთიანი ოქრო .	— „	„	6 94½
ტამოჟნის კუპონები . .	— „	„	139
მანეთიანი ვერცხლის ფული . . .	— „	— „	1 10½
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	232¾	— „	— „
—მეორისა	216	— „	— „
—მესამისა . . .	213½	— „	— „
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა	99½	— „	— „
ქუთაისის ბანკისა . . .	99½	— „	— „
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	88 „	— „	— „

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდან და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

განცხადებანი

მიხ. ალ. ნასიძე

გადავიდა ელისაბედის ქუჩაზედ, კუკიაში, ბერიევის სახლებში, № 100. იყვანს კულანდიებულად მოწაფეთ მოსამზადებლად საშუალო და საქალაქო სასწავლებლების პირველ კლასისთვის. (15—2)

,სიჭაბუკის ცოდვა'

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავ-აშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს—Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან. (40—9)

თმის გასამაგრებელი

ბალზამი ეიკალიპტი

კოსმეტიკა ა. ენგლუნდისა

ეს თმის გასამაგრებელი საშუალება სპობს თავის ქერტლს და თავს კანს სინაზეს აძლევს.

თითო შუშა ღირს 1 მან. 50 კაპ., გაგზავნით 2 მან. ორი შუშა გაგზავნით—3 მან. 50 კაპ.

სიყალბის ასაცილებლად მყიდველებსა ვთხოვთ ყოველს შუშაზედ გასინჯოს, რომ ეტიკეტს წითლის მელნით ჰქონდეს ხელ-მოწერილი ა. ენგლუნდი და ზედ მარკა ეკრას სპბ. საკოსმეტიკო ლაბორატორიისა.

უმთავრესი საწყობი იმყოფება ს.-პეტერბურგს, სპბ. საკოსმეტიკო ლაბორატორიაში, ა. ენგლუნდთან, ლიტეინის ქუჩაზედ, 38. (5—2)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას მოუვიდა მესამე და უკანასკნელი ნაწილი:

ქართული-რუსული

ლექსიკონი

დ. ჩუბინაშვილისა

ფასი 2 მან.

მთელი ლექსიკონი, ე. ი. სამივე ნაწილი ერთად ღირს 8 მან.

„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიამ შეიძინა

ჟურნალ „ნობათი“ ს

ყველა ნომერი, გარდა სანიმუშოსი, რომელიც სრულებით აღარ მოიპოვება გასასყიდად. ყველა ნომერი ერთად, რიცხვით ათი წიგნი, ზედ დამატებით ცალკე წიგნად დაბეჭდილ წიგნისა «ლომკაცი»,—სულ თერთმეტი წიგნი ღირს

2 მან.

ვინც ტფილისის გარეშე დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

თამბაქოს ფაბრიკა

ოქროს

მედლი

ნ. ი. ბოზარჯიანცისა

ტფილისში

მაქვს ბ-ნთ მოყვარულთათვის საუკეთესო თამბაქო და პაპიროსი ჩემის ფ რიკისა, რომელშიაც დიდ-ძალის ოსმალეთისა და ადგილობრივ მოსულს სა ხოვო თამბაქოს თავდარიგია დაჭერილი. შემონაკვეთს მუშტრის გემოვნებაზედ სწრაფად ვამზადებ. ჩემს მაღაზიაში ბევრი იპოვება საუკეთესო მოწყობილობა მასალა თამბაქოს ხმარებისა. უცხო-ქვეყნელთა შემონაკვეთს დაუყოვნებლად ვას ლებთ. ფაბრიკის უმთავრესი მაღაზია იმყოფება სასახლის ქუჩაზედ, ტფილი სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკის, არწრუნისეულს სახლში.

(25—1

კბილი აღარავის წამოსტკივდებ

თუ იხმარებენ

ღირსთა მამათა ბენედიქტელთ გამოგონილს ელიქსირს

სულიაკის სააბატოში (GIRONDE)

ეს ელიქსირი გამოგონილია 1373 წ. პრიორის პეტრე ბურსოს მ

და ოქროს მენდლებით დაჯილდო

ბული

ბრიუსელში 1880 წ. და ლო

დონში 1884 წ.



ყოველ დღე ამ ელიქსირის ხმარებით ა
მიანს კბილები ენახვება გაფუჭებისაგან, უფ
დება, ღრძილები უმაგრდება და პირში სა
ხოვო გემო ეძლევა.

ჩვენ მართლა-ც-და სამსახურს ვუწევთ ჩ
მკითხველებს, თუ იმის ყურადღებას ამ სა
გებლო წამალზედ მივაქცევთ, კბილის ტ
ლის ამ საუკეთესო საშუალებაზედ.

ამ ელიქსირს გარდა, მამა ბენედიქტელნი
თებენ აგრეთვე კბილის საწმენდს ფხვნილსა
ეს წამლები და აგრეთვე ელიქსირი უვ
დიდს აფთიაქსა და სააფთიაქო და საპარფი
მერო მაღაზიაში შეუძლიან მსურველმა იყიდოს.

უმთავრესი აგენტი: Jeguin, Bordeaux, rue Croix de Jegucy· № 1

(208—23)

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

„ისტორიული ნარკვევი“

ანუ

ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის

შედგენ. ალ. ჭყონიას მიერ

ფასი 1 მან. 50 კაპ.

ქალაქს გარეთ ისყიდება: გორში—ირაკლი რამიშვილთან, ხაშურში—ნაჩაბაძესთან, ქუთაისში—წიგნის მაღაზიებში ქილაძეებისა და წერეთლებისაში და ბა შა—მათე ნიკოლაძესთან.

ОТКРЫТА ПОЛУГОДОВАЯ ПОДПИСКА

на единственную въ россіи ежедневную иллюстрированную газету:

„МОСКОВСКАЯ ИЛЛЮСТРИРОВАННАЯ ГАЗЕТКА“.

Это изданіе даетъ своевременно всѣ свѣдѣнія о событіяхъ текушей жизни, сопровождая важнѣйшія ежедневными иллюстраціями по всѣмъ отдѣламъ программы.

КРОМѢ ТОГО ЕЖЕДНЕВНО ПОМѢЩАЮТСЯ ПОВѢСТИ, РОМАНЫ И РАЗСКАЗЫ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА

съ доставкой въ Москвѣ:		съ пересылкой въ города:	
На годъ	7 р.—к.	На годъ	8 р.—к.
„ полгода.	4 „ —„	„ полгода.	4 „ —„
„ 3 мѣсяца	2 „ 50„	„ 3 мысяца	3 „ —„
„ 1 мѣсяцъ	1 „ —„	„ 1 мѣсяцъ	1 „ —„

Редакція и главная контора при типографіи П. М. Мартынова, Тверская, Большой Гнѣздниковскій переулокъ, домъ Мартыновой.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ ВЪ ГЛАВНОЙ КОНТОРѢ

и въ книжныхъ магазинахъ:

гг. Васильева, Суворина, Мамонтова, Готье, бр. Салаевыхъ и друг., въ конторахъ: гг. Метцль, Гиляровскаго, Ремизова, Печковской, Александровой и въ газетной лавкѣ Ласточкина (у Срѣтенскихъ воротъ); въ КАЗАНИ въ писчебумажномъ магазинѣ Сергѣева (Проломная ул.), у Ал. Як. Лапина; ВЪ ОДЕССѢ—въ „Центральномъ новороссійскомъ магазинѣ“.

Редакторъ-Издатель Н. Н. СОѢДОВЪ.

Доз. ценз. Тифлисъ, 25-го Іюня 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძ